



საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 84/14
„ტნ“ 2007

დასკვნა

„საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის
საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების“
პროექტზე

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გახიხილა „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების“ პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი ხასიათის შენიშვნები და წინადადებები:

შეთანხმების პროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში და შემდგომში მოქმედ ტექსტში, ფრაზა: „იმ კანონებისა და წესების პირობები“, შეიცვალოს ფრაზით: „ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები“.

მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, ფრაზა: „ტექნიკური, საექსპლუატაციო, საბაჟო, გარემოს დაცვის ან სხვა კანონმდებლობით“, მართებულია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ტექნიკური, საექსპლუატაციო, საბაჟო, გარემოს დაცვის სფეროების ან სხვა სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობით“.

მე-9 მუხლის პირველ პუნქტში, ფრაზა: „ჩიკაგოს კონვენციები“, შეიცვალოს ფრაზით: „ჩიკაგოს კონვენცია“.


მე-13 მუხლის პირველ პუნქტში, ფრაზა: „სახელმწიფოში მოქმედი კანონებისა და სხვა იურიდიული აქტების საფუძველზე“, მიზანშეწონილია შეიცვალოს შემდეგნაირად: „სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე“.

მე-18 მუხლის პირველ პუნქტში, სიტყვა: „ნოტა“, შეიცვალოს სიტყვით: „შეცდომინება“, ხოლო ფრაზა: „ეროვნული კანონმდებლობით“, შეიცვალოს ფრაზით: „მოქმედი კანონმდებლობით“.

შეთანხმების პროექტის ბოლო დებულება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შესრულებულია ქ. -----, 200 წლის -----, ორ დედნად, თითოეული ქართულ, სომხურ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, სამივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განსხვავებული ინტერპრეტაციის პეტხოვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.“

ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების უათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოდგენილი შეთანხმების დადება.



ლევან ჭოლაძე

მინისტრის მოადგილე

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო



MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-04/891

„01“ „02“ 2007

საქართველოს ეკონომიკური განვითარების
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ დავით ნატროშვილს

ბატონო დავით,

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი
2006 წლის 29 დეკემბრის №26/342 წერილი, რომელიც ეხება
“საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას
შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ” შეთანხმების პროექტს.

გაცნობებო, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
წინაშე არ არსებობს შეთანხმების პროექტის მიმართ ფინანსური ხასიათის
შენიშვნები არ აქვს. ამასთან, დოკუმენტით გათვალისწინებული
ღონისძიებების საქართველოს მხარის მიერ გასაწევი ხარჯების
დაფინანსება საქართველოს ეკონომიკური განვითარების
სამინისტრომ უნდა განახორციელოს მისთვის წლიური საბიუჯეტო
კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში.

პატივისცემით,

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
განვითარების სამინისტრო
თბილისი № 39013-7
02/02 2007

22.
177/3



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო G E O R G I A

იუსტიციის სამინისტრო MINISTRY OF JUSTICE

№ 01/29/03-386
177/3 200-76

საქართველოს ეკონომიკური განვითარების
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ დავით ნატროშვილს

ბატონო დავით,

თქვენი 2006 წლის 29 დეკემბრის №26/342 წერილის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „საქართველოს მთავრობისა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის შორის საბაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების პროექტი და გაცნობიერებ:

მართებულია, პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტში კავშირი „ა“ შეადგალოს კავშირით „და/ან“.

მართებულია, პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტში ფრაზას „რომელსაც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს“, მართებულია, წინ დაემატოს ფრაზა „ასევე, ამ დანართისა და ამ შეთანხმების ნებისმიერ შესწორებას“.

შეთანხმების პროექტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში ფრაზა „განსაკუთრებული და უჩვეულო გარემოებები“, მიზანშეწონილად მოგვაჩნია, შეიცვალოს ფრაზით „დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები“ საქართველოს საბაერო კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

საქართველოს საბაერო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ საბაერო შედეგათებს. შესაბამისად, აღნიშნული შედეგათების დაწესება, მართებულია, მოხდეს საკითხის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

პროექტის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტში ბუნდოვანია ფრაზა „მიმართონ რომელიმე პირს/ენებს ან ორგანიზაციას“.

ასევე, მართებულია, ამავე პუნქტით განისაზღვროს, თუ რომელ არბიტრაჟს მიმართავენ მხარეები, იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება დავის ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული გზით მოგვარება.

პროექტის დანართში, მართებულია, დახუბტდეს „შუალედური და სახლვრებს გარეთ მდებარე პუნქტების“ განსაზღვრის წესი.

ამასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

22

177/3-7
01

შეიქმედებული შეთანხმების პროექტი ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

აღსანიშნავია, რომ შემოსხუნებული შეთანხმების პროექტი მოითხოვს შინაარსობრივი, სტილისტური და მთარგმნელობითი ხასიათის შემდგომ შესწორებას.

მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში და შემდგომში ტექსტში ფრაზა „კანონებისა და წესების“, მართებულია, შეიცვალოს სიტყვით „კანონმდებლობის“.

პროექტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში ფრაზა „ხელშემკერული მხარის ავთოსაწარმოებს“, მიზანშეწონილია, შეიცვალოს ფრაზით „ხელშემკერული მხარეების მიერ დანიშნულ ავთოსაწარმოებს“.

მე-8 მუხლის მე-4 პუნქტში ფრაზა „საბაჟო შედაკათით სარგებლობა“ - მიზანშეწონილია, შეიცვალოს ფრაზით „საბაჟო შედაკათით სარგებლობა“ - საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მე-9 მუხლის სათაურში ფრაზა „საავიაციო უშიშროება“, მიზანშეწონილია, შეიცვალოს ფრაზით „სამოქალაქო ავიაციის უშიშროება“ - საქართველოს სასაერო კოდექსის მე-5 კარის შესაბამისად.

ამივე მუხლის პირველ პუნქტში ფრაზა „ჩიკაგოს კონვენციები“, მიზანშეწონილია, შეიცვალოს ფრაზით „ჩიკაგოს კონვენცია“.

მე-13 მუხლის პირველ პუნქტში ფრაზა „სახელმწიფოში მოქმედი კანონებისა და სხვა იურიდიული აქტების საფუძველზე“, მართებულია, შეიცვალოს ფრაზით „სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.

პროექტის მე-17 მუხლი, მართებულია, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მხარეთა თანხმობით, წინამდებარე შეთანხმებაში შესაძლებელია წერილობითი ფორმით ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომლებიც ფორმდება ცალკე აქტების სახით, წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის წინამდებარე შეთანხმების მე-18 მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებული შესაბამისად“.

პროექტის დასკვნითი დებულებები, მართებულია, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შესრულებულია ქ. —, 200- წლის —, ორ პირად, თითოეული ქართულ, სომხურ და ინგლისურ ენებზე. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე“.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი შესაბამისობაშია მოსაყვანილ „საერთაშორისო კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მოთხოვნებთან.

პარტივისცემით,



კონსტანტინე კორკელია
მინისტრის პირველი მოადგილე



"29" 08 2007 წ. № 26/2545/3-4

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ ვაშაკიძეს

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი მ.წ. 27 ივლისის №2/12383-07 წერილით წარმოდგენილი სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მ.წ. 18 ივლისის №9/08962 ნოტის პასუხად, რომელიც ეხება „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერაზე სომხეთის მხარის მზადყოფნის საკითხს, გიგზავნით, აღნიშნულ შეთანხმების პროექტს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გთხოვთ, წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის მიზნით განახორციელოთ შიდა დიპლომატიური პროცედურები. ეს განახორციელოთ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის გიორგი არველაძისათვის „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭება.

დანართი: 30 გვერდი

პატივისცემით,

თამარ კოვზირიძე

მინისტრის მოადგილე





0160, თბილისი, ალ. ზაზაშვილის გამზ. №12
12, Al. Kazbegi ave. Tbilisi, GEO-0160, Georgia

ტელ/ფაქსი: (995 32) 98-25-22 94-75-09
Tel/Fax: (995 32) 98-25-22 94-75-09

„10“ 09 2007წ. № 06/990

საქართველოს ეკონომიკური
განვითარების მინისტრის
პირველ მოადგილეს
ბ-ნ დ. ნატროშვილს

ბატონო დავით,

თქვენი ა.წ. 07 აგვისტოს №26/189 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების პროექტს (შემდგომში - შეთანხმების პროექტი) გაცნობებთ, რომ ერთიანმა სატრანსპორტო ადმინისტრაციამ განიხილა აღნიშნული შეთანხმების პროექტი და გააჩნია შემოთავაზებული შენიშვნები:

1. შეთანხმების პროექტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2. შეთანხმების პროექტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადებაში სიტყვა "ხელშეკრულების" ნაცვლად უნდა დაიწეროს სიტყვა "შეთანხმების".

3. შეთანხმების პროექტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადება მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“შეთანხმების მიღწევამდე ტარიფები დროებით შევა ძალაში ან გაგრძელდება”.

4. შეთანხმების პროექტის ქართული ტექსტის მე-9 მუხლის სათაური და მთლიანად აღნიშნული მუხლის პუნქტებში სიტყვები "სამოქალაქო ავიაციის უშიშროება" უნდა შეიცვალოს სიტყვებით "საავიაციო უშიშროება", ვინაიდან იგი დამკვიდრებული ტერმინია მთელ მსოფლიოში.

საქართველოს ეკონომიკური
განვითარების სამინისტრო
საინფორმაციო
სისტემების
სამსახური
10.09.2007წ.
თბილისი

5. ამავე მუხლის 1-ელ პუნქტს უნდა დაემატოს კიდევ ორი კონვენცია. კერძოდ:

“... 1988 წლის 24 თებერვალს მონრეალში ხელმოწერილი ოქმი „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“; 1991 წლის 1 მარტს ქ. მონრეალში ხელმოწერილი კონვენცია „პლასტიკური ფუთქებადი ნივთიერებების ნიშანდების შესახებ მათი გამოყენების მიზნით“... შემდგომ როგორც ტექსტშია.

6. შეთანხმების ტექსტის სრულყოფისათვის, მიზანშეწონილია შეთანხმებას დაემატოს ახალი მუხლები შემდეგი რედაქციით (შესაბამისად შეიცვლება მუხლების ნუმერაცია):

“მუხლი —

პირდაპირი ტრანზიტი

1. თითოეული ხელშეკრული მხარის სახელმწიფოს ჩირიტორიაზე პირდაპირი ტრანზიტით გადაყვანილ-გადაზიდული მგზავრები, ჯარჯი, ტვირთი და ფოსტა, რომლებიც არ ტოვებენ აეროპორტის ამ მიზნისათვის გამოყოფილ ტერიტორიას, გაივლიან მხოლოდ გამარტივებულ კონტროლს, გარდა ამ შეთანხმების მე-12 მუხლით დადგენილი საავიაციო უშიშროების პირობებისა;
2. ბარჯი ჩირთი და ფოსტა, რომელიც გადაიყვანება პირდაპირი ტრანზიტით, თავისუფლდება საბაჟო და სხვა გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან.

მუხლი —

კოდის ერთობლივი გამოყენება

შეთანხმებულ მარშრუტებზე მომსახურების განხორციელებისას ან მათზე უფლებების ფლობისას, ორივე ხელშეკრული მხარის მიერ დანიშნულ ნებისმიერ ავიასაწარმოს (ებს) შეუძლია გააფორმოს კოდის ერთობლივი გამოყენების შესახებ შეთანხმებები:

- თავისი ხელშეკრული მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან;
- მეორე ხელშეკრული მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან;
- მესამე ქვეყნის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან

იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარ შეთანხმებაში მყოფი ყველა ავიასაწარმო

- ფლობს მიმოსვლის უფლებას შესაბამის მარშრუტებზე და/ან სეგმენტებზე;
- შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ამგვარ შეთანხმებებში;

- ელდებულია ბილეთის გაყიდვისას განუმარტოს მომხმარებელს ავიასაწარმო გაუნწევს მომსახურებას თითოეულ სექტორზე და ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან შედის მომხმარებელი კომპერციულ გარიგებაში. თუ რომელი თუ რომელ

მუხლი —

სერტიფიკატების, მოწმობებისა და ლიცენზიების აღიარება

1. ერთი ხელშემკვერელი მხარის მიერ გაცემული ან ვარგისად აღიარებული და ვერ კიდევ ძალაში მყოფი სერტიფიკატები, მოწმობები და ლიცენზიები, მეორე ხელშემკვერელი მხარის მიერ იქნება აღიარებული როგორც ვარგისი, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი სერტიფიკატების, მოწმობების და ლიცენზიების გაცემისა და ვარგისად ჩათვლის მოთხოვნები აღემატება ან უტოლდება ჩიკაგოს კონვენციის შესაბამისად უკვე ჩამოყალიბებულ ან მომავალში ჩამოყალიბებულ მინიმალურ სტანდარტებს;
2. თითოეული ხელშემკვერელი მხარე იტოვებს უარის თქმის უფლებას მისი ქვეყნის ტერიტორიაზე გადაფრენის მიზნით გამოსაყენებელი იმ მფრინავის მოწმობებისა და/ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობების აღიარებაზე, რომელიც გაცემულია მის მოქალაქეებზე სხვა ქვეყნის მიერ.
7. შეთანხმების პროექტის ქართულ ტექსტში არის ორთოგრაფიული შეცდომები, აგრეთვე ქვეპუნტები ზოგან ლათინური შრიფტითაა აღნიშნული, ზოგან კი ქართული.

ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია მიესალმება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის საჰაერო მიმოსვლის დარგში სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებასა და სრულყოფას და მიზანშეწონილად მიიჩნევს ვაფორმდეს ახალი საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება, რომელიც აგებულია ლიბერალურ პრინციპებზე. ამავე დროს გაცნობებთ, რომ ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია მზადაა მიიღოს მონაწილეობა საავიაციო ხელისუფლებებს შორის ზემოაღნიშნული შეთანხმების პროექტის ტექსტის განხილვასთან დაკავშირებულ შეხვედრაზე.

პატივისცემით,

ირაკლი თაქთაქიშვილი

ადმინისტრაციის უფროსი

